

ბერნარ უტიე
საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი
DOI: 10.32859/kadmos/16/267-268

არსებობდა თუ არა ძველ ქართულში სიტყვა „რია“?*

ეს სიტყვა, რომელსაც ვხვდებით მელესი ანტიოქიელის ჰომილიაში (CPG 3425(8)), გადამწერის შეცდომაა.

თანამედროვე ქართულ ენაში სიტყვა „რია“ არ გვხვდება; იგი მომდინარეობს ძირიდან „რევა“ და ნიშნავს „არევ-დარევას, აურზაურს, ალიაქოს“.¹

იმის გასარკვევად, არსებობდა თუ არა ეს სიტყვა ძველ ქართულში, მოგახსენებთ, რომ იგი არ გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, ლექსიკონებით აღჭურვილ ძველი ტექსტების გამოცემებში, რომელთა გაცნობაც შევძელით და, ჩვენდა გასაოცრად, არც ძველი ქართული ენის ლექსიკონში, რომელშიც ი. აბულაძემ თავი მოუყარა ყველა ყურადსაღებ სიტყვას, რომელსაც ძველი ქართული ტექსტების გამოცემის ნაყოფიერ გზაზე შეხვდა.² თუმცა, ასეთი გამოტოვება გასაოცარია, რადგან მისი გამოცემული ტექსტი, რომელიც ცნობილია მხოლოდ ქართულ ენაზე, შეტანილია თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერში A-95 და შეიცავს სიტყვას „რია“.

საქმე ეხება მელესი ანტიოქიელის ჰომილიას ხარებაზე (CPG 3425(8)).³ წინასწარმეტყველი ასე განმარტავს ლუკა 1:32-ს: „მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული“:

* Bernard Outtier, “Le mot რია existe-t-il en géorgien ancien?” *Bedi Kartlisa* XLII, 1984, p. 246-247.

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ა. ჩიქობავას რედაქციით, ტ. VI, თბილისი. 1960. Col. 429: რია-რია.

2 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამოქვეყნებული ელ. მეტრეველისა და ც. ჟურციკიძის მიერ, თბილისი, 1973.

3 ი. აბულაძე, მრავალთავი, in: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე 14, 1944, გვ. 265, 1.5. ამ პუბლიკაციის ერთი ეგზემპლარი მოგვაწოდა ღირსმა მამამ მ. ვან ესბროკმა, რომელიც ამზადებს ქართულ და სომხურ ენებზე შემონახული მელესი ანტიოქიელის თხზულებების სრულ გამოცემას. სწორედ მან დავისვა ლექსიკასთან დაკავშირებული შეკითხვა. ტექსტი ხელმეორედ გამოიცა ი. აბულაძის შრომების III ტომში, თბილისი, 1982, გვ. 55

(და მეუფებდეს) რომელ ალუთქუა დღეთა მათ იაკობისთა, და მეუფებდეს იერუსალჱმს, და არა ხოლო იერუსალჱმს ერთსა მას ნათესავსა ზედა, და არცა ამას რიას⁴ ხოლო, ათსა მას ნათესავსა ზედა, არამედ მეუფებდეს ყოველსა მას ზედა სახლსა იაკობისსა და ზედა ათორმეტთა მათ ნათესავთა იაკობისთა. და არა თუ ვითარცა მეუფებად იგი დავითისი განეწესოს მეუფებად მისი შემდგომთათვის, და არცა ნათესავთაგანსა ვის მიეცეს კელმწიფებად მისი, ვითარცა მეუფეთა მათ ისრაჱლისათა, არამედ უკუნისამდე ჟამთა მეუფებდეს, და სუფევისა მისისა დასასრული არა იყოს.

როგორც ვხედავთ, ტექსტი გრძელდება შეპირისპირებათა სერიით, რაც განკუთვნილია ქრისტეს მეფობის უნიკალურობის ხაზგასასმელად მეფე დავითის მემკვიდრეებთან მიმართებით. ეს არ იქნება იერუსალიმითა თუ იუდეით შემოფარგლული მეფობა; აქ ავტორი მიგვანიშნებს ისრაელის გამოყოფას დავითის სახლისგან, საიდანაც წარმოიშვნენ იუდეის და ბენიამენის სამეფოები, რომელთა დედაქალაქიც იერუსალიმი იყო, და ისრაელის სამეფოს, რომელიც მოიცავდა ათ სხვა ტომს და მისი ცენტრი იყო სიქემი და სამარია (იხ. 1 მეფეთა, 12). ე.ი. ამიერიდან აშკარაა, რომ უნდა იკითხებოდეს:

და მეუფებდეს იერუსალჱმს, და არა ხოლო იერუსალჱმს ერთსა მას ნათესავსა ზედა, და არცა ამას სამარიას ხოლო, ათსა მას ნათესავსა ზედა, არამედ ...

ამ ცნობილი ხელნაწერის გადამწერი ზოგჯერ დაუდევრად იქცეოდა: სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება ეფრემისეული წმ. ანტონის აპოფთეგმების ტექსტიდან (f. 169r), „აწ“-ის ნაცვლად „ა“; „სიმკნესა“-ს ნაცვლად „საკსენებელსა“. ე.ი. სულხან-საბამ⁵ და ი. აბულაძემ სამართლიანად არ შეიტანეს სიტყვა „რია“ თავიანთ ლექსიკონებში და არ შეიძლება დავეყრდნოთ ამ ფრაგმენტს იმის სათქმელად, რომ ეს სიტყვა ძველ ქართულში არსებობდა.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო
tsissana@hotmail.com

4 თავის ფუნდამენტურ ნაშრომში “Les plus anciens homéliaires géorgiens”, Louvain-la-Neuve, 1975, p. 309, მ. ვან ესბროკმა შეგნებულად გამოტოვა ამ სიტყვის თარგმანი.

5 სულხან-საბა იცნობდა ამ ხელნაწერს: იხ. მისი ციტაციები სიტყვებზე „მერკი“ და „ქორიქოზი“ (ტექსტი ცნობილია მხოლოდ ამ ხელნაწერით, ყოველ შემთხვევისთვის, პირველი მათგანისთვის).